



უშიშროების საბჭო

გავრცელება: ზოგადი
2008 წლის 19 ივნისი

არაოფიციალური თარგმანი

რეზოლუცია № 1820 (2008)

მიღებულია უშიშროების საბჭოს მიერ 5916-ე სხდომაზე
2008 წლის 19 ივნისს

უშიშროების საბჭო,

კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის ვალდებულებას 1325 (2000), 1612 (2005) და 1674 (2006) რეზოლუციების შემდგომ და სრულ განხორციელებაზე და ეყრდნობა მისი პრეზიდენტის 2001 წლის 31 ოქტომბრის (Security Council/PRST/2001/31), 2002 წლის 31 ოქტომბრის (Council/PRST/2002/32), 2004 წლის 28 ოქტომბრის (Council/PRST/2004/40), 2005 წლის 27 ოქტომბრის (Council/PRST/2005/52), 2006 წლის 8 ნოემბრის (Council/PRST/2006/42), 2007 წლის 7 მარტისა (Council/PRST/2007/5) და 2007 წლის 24 ოქტომბრის (Council/PRST/2007/40) განცხადებებს,

ხელმძღვანელობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის მიზნებითა და პრინციპებით,

კიდევ ერთხელ ადასტურებს 2005 წლის მსოფლიო სამიტის შემაჯამებელ დოკუმენტში წარმოდგენილ გადაწყვეტილებას ქალებისა და გოგოების წინააღმდეგ მიმართული ყველა სახის ძალადობის აღმოფხვრის შესახებ, რაშიც იგულისხმება შეიარაღებული კონფლიქტების დროს თუ მათი დამთავრების შემდეგ დაუსჯელობის დასრულება და სამოქალაქო პირების, განსაკუთრებით კი ქალებისა და გოგოების დაცვის უზრუნველყოფა, იმ ვალდებულებების შესაბამისად, რომლებიც სახელმწიფოებმა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლითა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით იკისრეს,

შეგვახსენებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც მოცემულია პეკინის დეკლარაციასა და სამოქმედო პლატფორმაში (A/52/231), ასევე, იმ ვალდებულებებს,

რომლებიც მოცემულია გენერალური ასამბლეის 23-ე სპეციალური სესიის _ „ქალები 2000: გენდერული თანასწორობა, განვითარება და მშვიდობა 21-ე საუკუნეში“ (A/S-23/10/Rev.1) _ შემაჯამებელ დოკუმენტში, კერძოდ კი, იმ ვალდებულებებს, რომლებიც ეხება სექსუალურ ძალადობასა და ქალებს შეიარაღებული კონფლიქტის დროს,

კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ სახელმწიფოთა ვალდებულებებს, რომლებიც არიან ქალთა წინააღმდეგ მიმართული ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციის, მისი ფაკულტატიური ოქმის, ბავშვთა უფლებების კონვენციისა და მისი ფაკულტატიური ოქმის მონაწილეები, მოუწოდებს არამონაწილე სხვა სახელმწიფოებს, განიხილონ მათი რატიფიკაციის ან მათთან მიერთების საკითხი,

აღნიშნავს, რომ სამოქალაქო პირები წარმოადგენენ შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა უმრავლესობას; რომ განსაკუთრებით ქალებისა და გოგოების მიმართ ხორციელდება სექსუალური ძალადობა, რომელიც ასევე გამოიყენება, როგორც ომის ტაქტიკა, დამცირების, ბატონობის, შიშის დათესვის, თემის ან ეთნიკური ჯგუფის სამოქალაქო პირების დაშორების/ან იძულებით გადაადგილების მიზნით; და რომ ამ მიზნით ჩადენილი სექსუალური ძალადობა შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში საბრძოლო მოქმედების დასრულების შემდეგაც გაგრძელდეს,

გმობს შეიარაღებული კონფლიქტის დროს სამოქალაქო პირების, კერძოდ, ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ გამოყენებულ სექსუალურ თუ სხვა ფორმის ძალადობას,

გამოხატავს უკიდურეს შეშფოთებას, რომ მიუხედავად შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქალთა და ბავშვთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის (მათ შორის სექსუალური ძალადობის) მუდმივი დაგმობისა და შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარის მიმართ მოწოდებებისა - დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ამგვარი ქმედებები, ისინი მაინც ხდება, ზოგ შემთხვევაში კი - სისტემატურად და განსაკუთრებული სისასტიკით,

შეგვახსენებს, რომ სექსუალური ძალადობის ზოგიერთი დანაშაული ჩართულია სისხლის სამართლის საქმეთა საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტში და სისხლის სამართლის ყველა საერთაშორისო ტრიბუნალის საგანგებო საკანონმდებლო აქტებში,

კიდევ ერთხელ ადასტურებს ქალთა მნიშვნელოვან როლს კონფლიქტების პრევენცია-მოგვარებასა და მშვიდობის მშენებელობაში. ამასთან, ხაზს უსვამს მათ თანასწორ მონაწილეობასა და სრულ ჩართვას მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და ხელშეწყობის ყველა ძალისხმევაში, ასევე, კონფლიქტის

პრევენციასა და მოგვარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი როლის გაძლიერების საჭიროებას,

გამოხატავს უკიდურეს შემფოთებას იმ მუდმივ დაბრკოლებებსა და სირთულეებთან დაკავშირებით, რომლებიც ძალადობის, დაშინებისა და დისკრიმინაციის შედეგად ხელს უშლიან ქალთა სრულ მონაწილეობასა და ჩართვას კონფლიქტების პრევენციასა და გადაჭრაში; რაც ართმევს ქალს სამართლებრივ უფლებას, მონაწილეობა მიიღოს პოსტკონფლიქტურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და აღიარებს ამ მდგომარეობის უარყოფით გავლენას მშვიდობის, უსაფრთხოებისა და შერიგების პერსპექტივებზე, მათ შორის კონფლიქტის შემდგომ პერიოდში მშვიდობის მშენებლობაზე,

აღიარებს, რომ სახელმწიფოები, საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნორმების მიხედვით, პასუხისმგებელნი არიან, პატივი სცენ და უზრუნველყონ მათი მოქალაქეებისა და იმ პირების ადამიანის უფლებები, რომლებიც მათ ტერიტორიაზე იმყოფებიან;

კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შეიარაღებულ კონფლიქტში მყოფი მხარეები პასუხისმგებელნი არიან ყველა იმ ზომის მიღებაზე, რომელიც უზრუნველყოფს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებული სამოქალაქო პირების დაცვას,

მიესალმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემაში ძალისხმევის მუდმივ კოორდინაციას, რომელიც გამოიხატება სააგენტოთაშორისი ინიციატივით „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქმედება კონფლიქტში სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ, რათა გაიზარდოს ინფორმირებულობა სექსუალურ ძალადობაზე შეიარაღებული კონფლიქტის დროს თუ მის შემდგომ პერიოდში და ბოლო მოეღოს ამ ძალადობას,

1. *ბაზს უსვამს*, რომ სექსუალური ძალადობა, როგორც სამოქალაქო პირთა წინააღმდეგ მიმართული ომის ტაქტიკა და სამოქალაქო საზოგადოებაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების შემადგენელი ნაწილი, მნიშვნელოვნად ამძაფრებს დამაბულობას შეიარაღებული კონფლიქტის დროს და მან შესაძლოა ხელი შეუშალოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენას; კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სექსუალური ძალადობის მსგავსი აქტების პრევენციითა და მათზე ქმედითი რეაგირებით შესაძლებელია მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის საქმეში; გამოხატავს მზადყოფნას, უშიშროების საბჭოს მიერ დღის წესრიგით გათვალისწინებული სიტუაციების განხილვისას, გარემოებისამებრ გადადგას

ნაბიჯები შეიარაღებული კონფლიქტის დროს ფართომასშტაბიან ან სისტემატურ სექსუალურ ძალადობაზე რეაგირებისთვის;

2. *მოითხოვს*, რომ შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარემ დაუყოვნებლივ და მთლიანად შეწყვიტოს სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული სექსუალური ძალადობის ყველა გამოვლინება;

3. *მოითხოვს*, რომ შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარემ სამოქალაქო პირების, მათ შორის ქალებისა და გოგოების, სექსუალური ძალადობის ყველა ფორმისგან დასაცავად დაუყოვნებლივ მიიღოს შესაბამისი ზომები, რაც შეიძლება მოიცავდეს შესაბამისი სამხედრო-დისციპლინური ზომების გატარებასა და მეთაურთა პასუხისმგებლობის პრინციპის დაცვას, სამხედრო მოსამსახურეებისთვის სამოქალაქო პირების წინააღმდეგ სექსუალური ძალადობის ყველა ფორმის აკრძალვის აუცილებლობის ახსნას, სექსუალური ძალადობის შესახებ არსებული მითების მსხვერველს, სექსუალური ძალადობის საფრთხის არსებობისას ქალებისა და ბავშვების უსაფრთხო ტერიტორიაზე ევაკუაციას; სთხოვს გენერალურ მდივანს, ამ პრობლემის გადასაჭრელად ხელი შეუწყოს დიალოგს გაეროს შესაბამის ოფიციალურ პირებსა და კონფლიქტის მხარეებს შორის; ამასთან, მოითხოვს გათვალისწინებული იყოს დაზარალებული ტერიტორიიდან წამოსული ქალების მოსაზრებები;

4. *აღნიშნავს*, რომ გაუპატიურება და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმები შეიძლება შედიოდეს ომის დანაშაულში, დანაშაულში კაცობრიობის წინააღმდეგ ან იყოს გენოციდისთვის გამოყენებული ერთ-ერთი ქმედება; ხაზს უსვამს, რომ სექსუალური ძალადობის დანაშაულს არ უნდა შეეხოს კონფლიქტის მოგვარების პროცესისთვის მიღებული ამნისტია და მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, შეასრულონ საკუთარი ვალდებულებები და სასამართლო წესით გასამართლდნენ ის პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ამგვარ ქმედებებზე; ასევე უზრუნველყონ, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლები, განსაკუთრებით კი ქალები და ბავშვები, თანაბრად იყვნენ დაცულნი კანონით და თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი მართლმსაჯულებაზე; ხაზს უსვამს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დაუსჯელობის პრაქტიკის აღმოფხვრა, როგორც ყოვლისმომცველი მიდგომის ნაწილი მშვიდობის, სამართლის, სიმართლისა და ეროვნული შერიგების ძიების პროცესში;

5. *ადასტურებს განზრახვას*, რომ კონკრეტული სახელმწიფოსთვის სანქციების რეჟიმის შემოღება-განახლებისას მხედველობაში მიიღოს, თუ რამდენად ადეკვატურია ზომები, რომლებიც იმ მხარეთა მიმართ გამოიყენება, რომლებმაც შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქალებისა და გოგოების მიმართ სექსუალური ძალადობის სხვადასხვა ფორმა, მათ შორის გაუპატიურება, ჩაიდინეს;

6. *სთხოვს* გენერალურ მდივანს, უშიშროების საბჭოს, სამშვიდობო ოპერაციებისთვის შექმნილ საგანგებო კომიტეტს, ამ კომიტეტის სამუშაო ჯგუფსა და შესაბამის სახელმწიფოებს, რომ საჭიროებისამებრ შეიმუშაონ და დანერგონ შესაბამისი ტრენინგ-პროგრამები ყველა იმ სამშვიდობო და ჰუმანიტარული პერსონალისთვის, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გადაისროლა და მანდატირებულია საბჭოს მიერ, რათა დაეხმაროს სამოქალაქო პირების წინააღმდეგ მიმართული სექსუალური ძალადობისა და ძალადობის სხვა ფორმების უკეთ პრევენციაში, ამოცნობასა და საპასუხო ქმედებების გატარებაში;

7. *სთხოვს* გენერალურ მდივანს, გააგრძელოს და გააძლიეროს ძალისხმევა სექსუალური ექსპლოატაციის მიმართ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო ოპერაციებში ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის დასაწერად; მოითხოვს ქვეყნებისგან, რომლებიც სამშვიდობო მისიებს ჯარებითა და პოლიციით უზრუნველყოფენ, მიიღონ შესაბამისი პრევენციული ზომები და სამსახურში აყვანამდე თუ დასაქმების საწყის ეტაპზე ჩაატარონ ტრენინგები ან სხვა ღონისძიებები, რათა სექსუალური ძალადობის რაიმე სახით გამოვლინებისას უზრუნველყოფილი იყოს პერსონალის სრული ანგარიშვალდებულება.

8. *ურჩევს* ქვეყნებს, რომლებიც სამშვიდობო მისიებს ჯარითა და პოლიციური ძალებით უზრუნველყოფენ, გენერალურ მდივანთან კონსულტაციით განიხილონ საკითხები იმ პერსონალის ცნობიერების ამაღლებისა და ეფექტურობის ხარისხის გასაზრდელად, რომელიც სამოქალაქო მოსახლეობის, მათ შორის ქალებისა და ბავშვების, დასაცავად გაეროს სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობს, რათა არ დაუშვას სექსუალური ძალადობა ქალებსა და გოგოებზე კონფლიქტის დროს თუ მის შემდგომ პერიოდში; ამასთან, სამშვიდობო და პოლიციურ კონტინგენტში შეძლებისდაგვარად გაზარდონ ქალთა წარმომადგენლობა;

9. *სთხოვს* გენერალურ მდივანს, შეიმუშაოს ეფექტური სახელმძღვანელო პრინციპები და სტრატეგიები გაეროს შესაბამისი ოპერაციების შესაძლებლობების გაზრდისთვის მშვიდობის მხარდასაჭერად, მათი მანდატების შესაბამისად; უზრუნველყოს სამოქალაქო პირების, მათ შორის ქალებისა და გოგოების, დაცვა სექსუალური ძალადობის ყველა ფორმისგან, კონფლიქტური სიტუაციის შესახებ საბჭოს წინაშე წარსადგენ წერილობით მოხსენებებში სისტემატურად ჩართოს საკუთარი დაკვირვებები ქალებისა და გოგოების დაცვასთან დაკავშირებით და შეიმუშაოს რეკომენდაციები ამ მიმართულებით;

10. *სთხოვს* გენერალურ მდივანს და გაეროს შესაბამის სააგენტოებს, ქალთა ორგანიზაციებთან კონსულტაციით შეიმუშაონ ეფექტური მექანიზმები ქალებისა და გოგოების ძალადობისგან, მათ შორის სექსუალური ძალადობისგან, დაცვის

უზრუნველსაყოფად ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა იმ ბანაკებში, რომელთა მართვასაც გაერო ახორციელებს, ასევე, განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროცესებში, მართლმსაჯულებისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმებში, რომლებსაც დახმარებას გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უწევს;

11. *ბაზს უსვამს*, რამდენად მნიშვნელოვანი როლი ეკისრება სამშვიდობო კომისიას პოსტკონფლიქტურ სამშვიდობო სტრატეგიებში შეიარაღებული კონფლიქტისა და მის შემდგომ პერიოდში ჩადენილ სექსუალურ ძალადობაზე რეაგირების შესახებ რჩევებისა და რეკომენდაციების ინტეგრირებაში. ასევე, რამდენად მნიშვნელოვანია მისი როლი კონკრეტულ ქვეყნებზე მორგებული სტრატეგიების შემუშავებაში ქალთა სამოქალაქო ორგანიზაციების ეფექტური ჩართულობის ხელშეწყობის კუთხით;

12. *სთხოვს* გენერალურ მდივანს და მის საგანგებო დესპანებს, მიიწვიონ ქალები იმ დისკუსიებში მონაწილეობის მისაღებად, რომლებიც კონფლიქტის პრევენციასა და გადაჭრას, მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას, ასევე, კონფლიქტის შემდგომ პერიოდში მშვიდობის მშენებლობას ეხება და წახალისებს ამ მოლაპარაკების ყველა მხარეს, ხელი შეუწყოს ქალთა თანასწორ და სრულ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების დონეებზე;

13. *სთხოვს* ყველა მხარეს, მათ შორის წევრ სახელმწიფოებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურებსა და ფინანსურ დაწესებულებებს, მხარი დაუჭირონ ეროვნული ინსტიტუტების, კერძოდ, სასამართლო თუ ჯანდაცვის სისტემებისა და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ქსელების კომპეტენციის განვითარებასა და გაძლიერებას, რათა უზრუნველყონ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მუდმივი დახმარება შეიარაღებული კონფლიქტის დროს და კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში;

14. *მოუწოდებს* შესაბამის რეგიონულ თუ ქვერეგიონულ უწყებებს, განიხილონ განვითარებისა და განხორციელების პოლიტიკა, საქმიანობები და ადვოკატირება გაუწიონ შეიარაღებული კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის შედეგად დაზარალებულ ქალებსა და გოგოებს;

15. *სთხოვს* გენერალურ მდივანს, 2009 წლის 30 ივნისისთვის საბჭოს წარუდგონოს ანგარიში წინამდებარე რეზოლუციის განხორციელების თაობაზე და ამ მიზნით გამოიყენოს ინფორმაცია გაეროსთვის ხელმისაწვდომი წყაროებიდან, ქვეყნის სამუშაო ჯგუფებისგან, სამშვიდობო ოპერაციებისა და გაეროს სხვა პერსონალისგან; ანგარიში უნდა შეიცავდეს inter alia ინფორმაციას შეიარაღებული კონფლიქტის იმ სიტუაციებზე, სადაც სამოქალაქო პირებზე ფართოდ ან

სისტემატურად გამოიყენეს სექსუალური ძალადობა; ასევე, შეარაღებული კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის გავრცელებისა და ტენდენციების ანალიზს; სტრატეგიებს, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს ქალებისა და გოგოების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას; წარმოდგენილი უნდა იყოს საბაზისო მონაცემები სექსუალური ძალადობის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში პროგრესის გასაზომად, შესაბამისი ინფორმაცია ამ სფეროში გაეროს სავსე განმახორციელებელი პარტნიორებისგან; ინფორმაცია გენერალური მდივნის გეგმების შესახებ, რათა დაეხმაროს შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციაში დროული, ობიექტური, ზუსტი და სანდო ინფორმაციის მოპოვებას, ასევე გაეროს საქმიანობათა გაუმჯობესებულ კოორდინაციას სამოქმედო ადგილზე და შტაბბინებში; აქვე იგულისხმება ინფორმაცია იმ ნაბიჯებზე, რომლებიც მხარეებმა შეიარაღებულ კონფლიქტში მათი ვალდებულებების შესასრულებლად, რეზოლუციის შესაბამისად გადადგეს. კერძოდ, სექსუალური ძალადობის ყველა აქტის დაუყოვნებლივ, სრულიად შეწყვეტა და სათანადო ზომების მიღება სექსუალური ძალადობის ყველა ფორმისგან ქალებისა და გოგოების დასაცავად;

16. *იღებს გადაწყვეტილებას*, გააგრძელოს მოცემულ საკითხზე აქტიური მუშაობა.